



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო



განკარგულება:გ-49.49211181

თარიღი:28/04/2021

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა № 19

**წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების
სარგებლობის უფლებით , პირდაპირი განკარგვის წესით-იჯარით
გადაცემისას ქირის საწყისი წლიური საფასურის ოდენობის განსაზღვრის
შესახებ**

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულომ განიხილა მუნიციპალიტეტის მერის 2021 წლის 26 აპრილის N 48-4821116162 წერილი, რომელშიც ითხოვს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სარგებლობის უფლებით , პირდაპირი განკარგვის წესით - იჯარით გადაცემისას ქირის საწყისი წლიური საფასურის ოდენობის განსაზღვრას.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილების შესაბამისად:

1. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სარგებლობის უფლებით , პირდაპირი განკარგვის წესით-იჯარით გადაცემისას ქირის საწყისი წლიური საფასურის ოდენობა განსაზღვროს დანართი1-ის შესაბამისად (თან ერთვის).
2. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერს და საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიას.
3. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.

განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ქუთაისი, კუპრადის ქ. №11).

პაატა ახალაძე

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი



წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს
2021 წლის 28 აპრილის №19 განკარგულების
დანართი №1

№	ქონების ადგილმდებარეობა	დასახელება და ფართობი	წლიური საიჯარო ქირა
1	2	3	4
1	წყალტუბოს მუნიციპალიტეტი ს სოფელი ოფურჩხეთი	ხაზოვანი ნაგებობები (გარე განათების კონსტრუქციები): 17.0 ერთეული გარე განათების ბოძი	34 ლარი
2	წყალტუბოს მუნიციპალიტეტი ს სოფელი ოფურჩხეთი	ხაზოვანი ნაგებობები (გარე განათების კონსტრუქციები): 5.0 ცალი ლითონის ბოძი.	10 ლარი
3	წყალტუბოს მუნიციპალიტეტი ს სოფელ ოფურჩხეთი	ხაზოვანი ნაგებობები (გარე განათების კონსტრუქციები): 46.0 ცალი ლითონის ბოძი	92 ლარი
4	წყალტუბოს მუნიციპალიტეტი ს სოფელი გუმათი	ხაზოვანი ნაგებობები (გარე განათების კონსტრუქციები): 18.0 ცალი ლითონის ბოძი.	36 ლარი
5	წყალტუბოს მუნიციპალიტეტი ს სოფელი ჯიმასტარო	ხაზოვანი ნაგებობები (გარე განათების კონსტრუქციები): 24.0 ცალი ლითონის ბოძი	48 ლარი